



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

მდგრადი  
დაფინანსების  
გზამკვლევი  
საქართველოსთვის

2019

# წინასიტყვაობა

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის შემუშავებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ავტორები არიან სალომე თვალაძე, ზვიად ზედგინიძე და მარიამ ხარაიშვილი. ავტორები მადლობას უხდებიან ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლებს გზამკვლევის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის.

გზამკვლევი შექმნილია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) მჭიდრო თანამშრომლობით. საქართველოს ეროვნული ბანკი მადლობას უხდის რონგ ჟანგს, მარტინ დასეკს, ბატმუნკ ბეთბოლდს, ვეი იუანს და ბორის ჯანჯალიას დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.



## შინაარსი

მდგრადი დაფინანსების გლობალური ტენდენციები და საქართველო.....	4
გლობალური ტენდენციები მდგრადი დაფინანსების მიმართულებით .....	4
მდგრადი დაფინანსება საქართველოში .....	9
მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი .....	10
გზამკვლევის მიზანი.....	10
გზამკვლევი .....	11
ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა .....	11
მდგრადი დაფინანსების ნაკადები .....	12
ESG რისკის მართვა .....	13
გამჭვირვალობა და საბაზრო დისციპლინა.....	14
განხორციელება და პროგრესის შეფასება .....	15
დანართი - მდგრადი დაფინანსების სამოქმედო გეგმა .....	16
გამოყენებული ლიტერატურა .....	17

## აკრონიმები და აბრევიატურები

<b>CG Code</b>	Corporate Governance Code კორპორაციული მართვის კოდექსი
<b>EBRD</b>	European Bank for Reconstruction and Development ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
<b>ESG</b>	Environmental, Social and Governance გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
<b>EU</b>	European Union ევროკავშირი
<b>GRI</b>	Global Reporting Initiative საერთაშორისო ანგარიშგების ინიციატივა
<b>ICMA</b>	International Capital Market Association კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაცია
<b>IFC</b>	International Financial Corporation საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
<b>NBG</b>	National Bank of Georgia საქართველოს ეროვნული ბანკი
<b>NDC</b>	Nationally Determined Contribution ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
<b>OECD</b>	Organization for Economic Co-operation and Development ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
<b>SASB</b>	Sustainability Accounting Standards Board მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო
<b>SBN</b>	Sustainable Banking Network მდგრადი საბანკო ქსელი
<b>SDGs</b>	Sustainable Development Goals მდგრადი განვითარების მიზნები
<b>TCFD</b>	Task Force on Climate-related Financial Disclosures კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფი
<b>UN</b>	United Nations გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
<b>UN PRI</b>	UN Principles for Responsible Investment გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლიანი ინვესტიციის პრინციპები
<b>UN PSI</b>	UN Principles for Sustainable Insurance გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაზღვევის ინვესტიციის პრინციპები
<b>UNEP</b>	United Nations Environment Programme გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
<b>UNEP FI</b>	UNEP Finance Initiative გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ფინანსური ინიციატივა
<b>UNFCCC</b>	United Nations Framework Convention on Climate Change გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

# მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის

„ცენტრალურ ბანკებს  
გადამწყვეტი როლი აკისრიათ  
სისტემური რისკების  
შემცირებაში, მოწყვლადობის  
გამოვლენითა და ფინანსურ  
სისტემაზე კომპლექსური ხედვის  
გამოყენებით“ -  
ტიფ მაკლემი

## მდგრადი დაფინანსების გლობალური ტენდენციები და საქართველო

### გლობალური ტენდენციები მდგრადი დაფინანსების მიმართულებით

2015 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაეროს სამიტზე მდგრადი განვითარების დღის წესრიგი<sup>1</sup> (UN Agenda for Sustainable Development) შეიმუშავა. ამავე წელს მიღწეული იქნა პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ<sup>2</sup>. ყოველივე ეს მდგრადი განვითარებისთვის ახალი საწყისის საფუძველი გახდა. გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი 17 ძირითად მიზანს (Sustainable Development Goals, SDGs) აერთიანებს, რომლებიც, თავის მხრივ, ისეთი მომავლის შექმნას ემსახურება, რომელიც სტაბილურობას, ჯანსაღ გარემოს, ინკლუზიურ, მდგრად და თანასწორ საზოგადოებასა და ეკონომიკას მოიაზრებს. პარიზის შეთანხმება, რომელსაც ხელი 2015 წელს 195 ქვეყანამ მოაწერა, არის პირველი ინიციატივა, რომელმაც მრავალი ქვეყანა ერთი საერთო მიზნის ქვეშ გააერთიანა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, რიგი ამბიციური ნაბიჯების გადადგმას მოიაზრებს, რაც კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის ზრდასა და გლობალური დათბობის 2°C-მდე შემცირებას ემსახურება. ამ ინიციატივებზე ხელის მოწერით ქვეყნებმა აირჩიეს განვითარების ისეთი გზა, რომელიც

<sup>1</sup> <https://sustainabledevelopment.un.org/>

<sup>2</sup> <https://unfccc.int/process/the-paris-agreement/what-is-the-paris-agreement>

მომავალი თაობის ინტერესების ხარჯზე არ მოახდენს დღევანდელი თაობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას<sup>3</sup>.

საქართველო ორივე ინიციატივის მონაწილეა. საქართველოს მთავრობა ახორციელებს რიგ ღონისძიებებს ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით შერჩეული მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად და ამით თავისი წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში. პარიზის შეთანხმების მოთხოვნისამებრ, საქართველომ შეიტანა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (Nationally Determined Contribution (NDC)) გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციაში (UNFCCC), რაც გულისხმობს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც შეამცირებს სათბური გაზების ემისიას და გარემოზე უარყოფითად მოქმედ პროცესებს. ეს საერთაშორისო ვალდებულებები თავსებადია ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკასთან და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების „საქართველო 2020“ სტრატეგიასთან. სტრატეგია იძლევა ნათელ ხედვას როგორ უნდა მივაღწიოთ გრძელვადიან, მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. იგი ეფუძნება სამ მთავარ პრინციპს: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა; ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა; და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის ხელშეწყობა.

ჩვენს წინაშე არსებული მდგრადი განვითარების გამოწვევები საჭიროებს დაუყონებლივ რეაგირებას, რათა მოხდეს საჯარო პოლიტიკის ახალ რეალობასთან მორგება. ყოველივე ეს საჭიროებს ისეთი რეფორმების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მობილიზების ხელშეწყობას მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ფინანსურ სისტემას აკისრია, რადგან მდგრადი განვითარებისთვის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი მდგრადი დაფინანსებაა, როგორც კერძო ასევე საჯარო. თუმცა, კერძო კაპიტალის უფრო მდგრად ინვესტიციებში განსათავსებლად საჭიროა ფინანსური სისტემის სამუშაო ფორმატის შესაბამისი ცვლილება. ეს აუცილებელი პირობაა უფრო მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკაში გამჭვირვალობისა და გრძელვადიანი ხედვის ხელშესაწყობად.

**‘მდგრადი დაფინანსება’**, ევროკავშირის კომისიის მიხედვით ორ მნიშვნელოვან ნაწილს აერთიანებს: (1) ფინანსების ისეთი პროექტებისკენ წარმართვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად და ინკლუზიურ ზრდას; და (2) ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესება საინვეტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებით<sup>5</sup> (იხ. **დიაგრამა 1**). გარემოსდაცვითი ფაქტორები მოიცავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და ადაპტაციას, გარემოს დაბინძურების ასპექტებს, ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას, ეკოსისტემის დაცვას, და სხვა გარემოსდაცვით საკითხებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს. სოციალურ ფაქტორები ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა უთანასწორობა, ინკლუზიურობა, შრომითი ურთიერთობები, ადამიანის უფლებების დაცვა, საზოგადოების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ქალთა და გოგონათა უფლებათა გაძლიერება, სიღარიბის შემცირება და ადამიანურ კაპიტალში


<sup>3</sup> <http://www.un-documents.net/our-common-future.pdf>

<sup>4</sup> [http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/social-economic\\_development\\_strategy\\_of\\_georgia\\_georgia\\_2020.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/social-economic_development_strategy_of_georgia_georgia_2020.pdf)

<sup>5</sup> [https://ec.europa.eu/info/publications/180131-sustainable-finance-report\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/180131-sustainable-finance-report_en)

ინვესტიციების დაბანდება. სათანადო მმართველობა, რომელიც მოიცავს მართვის სტრუქტურებს, თანამშრომელთა ურთიერთობებსა და ანაზღაურების პოლიტიკას, აუცილებელი წინაპირობაა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად. კლიმატის ცვლილება წარმოადგენს მიმდინარე საფრთხეს, რომელიც ასევე გრძელვადიანი რისკებით ხასიათდება და შესაბამისად, მკაცრ პოლიტიკურ ჩარევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, იგი სხვა გარემოსდაცვით პრობლემებს შორის გამოირჩევა. თუმცა, კლიმატის ცვლილება ასევე დაკავშირებულია სხვა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების საფუძვლიანი შესწავლა ქმნის საფუძველს სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ანალიზისთვის.

**დიაგრამა 1. მდგრადი დაფინანსება**




წყარო: UNEP Inquiry

უკვე საერთაშორისადაა აღიარებული, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემები ფინანსური რისკების წყარო შეიძლება გახდეს. ეს რისკები ორი ძირითადი არხით წარმოიქმნება (იხ. დიაგრამა 26): კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური ზარალი; და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლისთვის საჭირო სტრუქტურული ცვლილებები. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს.

<sup>6</sup> <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/quarterly-bulletin/2017/the-banks-response-to-climate-change.pdf?la=en&hash=7DF676C781E5FAEE994C2A210A6B9EEE44879387>



**დიაგრამა 2. მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მთავარი გადაცემის არხები**



წყარო: ადაპტირებულია ინგლისის ბანკის თემატური სტატიიდან: ინგლისის ბანკის რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე

**ფიზიკური რისკი** ითვლება მწვავედ, როცა ის გამოწვეულია კლიმატთან და ამინდთან დაკავშირებული მოვლენებით, როგორცაა გვალვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და ზღვის დონის მატება; ფიზიკური რისკი არის ქრონიკული თუ იგი გამოწვეულია კლიმატის ეტაპობრივი ცვლილებით, როგორცაა გლობალური დათბობა. ფიზიკური რისკის წყარო შეიძლება იყოს ზემოთ აღწერილი მოვლენების პირდაპირი შედეგი, მაგალითად, როგორცაა საკუთრების დაზიანება ან პროდუქტიულობის ვარდნა. თუმცა იგი ასევე შეიძლება იყოს არაპირდაპირი შედეგი ისეთი თანამდევი მოვლენებისა, როგორცაა მიწოდების ჯაჭვის რღვევა.

ფიზიკური რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მოჰყვება, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს როგორც მიკრო, ასევე უფრო ფართო სისტემურ დონეზე. ფიზიკური რისკების ზეგავლენა ფინანსურ ინსტიტუტებზე შესაძლოა იყოს პირდაპირი. ამის მაგალითი იქნება აქტივებისა და გირაოს ღირებულების შემცირება<sup>7</sup>, გაზრდილი სადაზღვეო დანაკარგები<sup>8</sup> ან ბიზნეს ოპერაციის შეფერხება<sup>9</sup>. იმ შემთხვევაში თუ დანაკარგები დაზღვეულია, მაშინ ზარალი უშუალოდ სადაზღვეო კომპანიებზე აისახება, ხოლო დაუზღვევლობის შემთხვევაში მთლიანი ტვირთი შინამეურნეობებს, კორპორაციებსა და სახელმწიფოს დააწვება.

**გარდამავლობის რისკი** არის ისეთი ფინანსური რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო ცვლილებების განხორციელების შედეგად. გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ტექნოლოგიებისა და ბაზრის განწყობის ცვლილების შედეგად, შეიძლება გადაფასდეს ისეთი აქტივები, როგორცაა აქციები, ობლიგაციები, დერივატივები და ეკონომიკაში არსებული კაპიტალის სხვა ფორმები. ის თუ რა ტემპით მოხდება გადაფასება ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, თუმცა ამან შესაძლოა

<sup>7</sup> Scott et al., The Bank of England's response to climate change, 2017.  
<sup>8</sup> DNB, Waterproof?, 2017; Finansinspektionen, Climate Change and Financial Stability, March 2016.  
<sup>9</sup> Stenek et al., Climate Risk and Financial Institutions, 2010



დიდი გავლენა მოახდინოს ფინანსურ სტაბილურობაზე და ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე.

ფიზიკური და გარდამავლობის რისკების ფინანსურ სტაბილურობასა და ინდივიდუალურ ფინანსურ ინსტიტუტებზე გავლენის შეფასება და შესწავლა ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური ზედამხედველების პასუხისმგებლობას წარმოადგენს. უფრო და უფრო მეტი ცენტრალური ბანკი და ფინანსური ზედამხედველი, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მწვანე და მდგრადი დაფინანსების ხელშესაწყობად გატარებული პოლიტიკისა და ღონისძიებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა<sup>10</sup>.

გარდა ფინანსური რისკის არგუმენტისა, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UN Environment)<sup>11</sup> ყურადღებას ამახვილებს კიდევ ორ არგუმენტზე, თუ რატომ უნდა გამოეხმაურონ ცენტრალურმა ბანკები მდგრადი განვითარების გამოწვევებს:

- **საბაზრო ჩავარდნა (market failure)** - ბანკების მიერ გარემოსთვის საზიანო ბიზნესებისთვის (მაგ; მაღალი ემისიის მქონე და დაბინძურების გამომწვევი ბიზნესები) კრედიტის ხელმისაწვდომობა შეიძლება საკრედიტო ბაზრის ჩავარდნად ჩაითვალოს. გარემოსდაცვითი რეგულაციები და ნახშირბადის გადასახადი (carbon pricing) წარმოადგენს პრიორიტეტულ პოლიტიკას ბაზრის აღნიშნული ჩავარდნის გამოსასწორებლად. თუმცა, გარემოსდაცვითი პოლიტიკის არ არსებობის ან მისი არაეფექტური აღსრულების შემთხვევაში, სასურველია ცენტრალურმა ბანკებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყონ კრედიტის შექმნასა და განაწილებას. საბაზრო ჩავარდნის განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს „არარსებული ბაზრები“ (missing markets) - სიტუაცია, როდესაც ეფექტიანი, თავისუფალი ბაზარი, რომელიც რესურსების „პარეტო“ (Pareto) ეფექტიან განაწილებას უზრუნველყოფს არ არსებობს. აღნიშნულ შემთხვევაში, ცენტრალურმა ბანკებმა მწვანე დაფინანსების განვითარების ხელშესაწყობად შეიძლება გარკვეული როლი ითამაშონ ბაზრის „არარსებული“ სეგმენტის ჩამოყალიბებაში, მაგალითად, როგორცაა მწვანე ობლიგაციების ბაზარი.
- **ცენტრალური ბანკის, როგორც სანდო და ავტორიტეტული ინსტიტუტის, როლი განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.** ზოგადად, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ანალიტიკურ ჩარჩოში გათვალისწინება ყველა ცენტრალური ბანკისა თუ ფინანსური ზედამხედველის ვალია. თუმცა, ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური ზედამხედველების როლი უფრო მნიშვნელოვანია განვითარებად ქვეყნებში, სადაც შედარებით სუსტად ხდება გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება. განვითარებად ქვეყნებში, ცენტრალური ბანკები და ფინანსური ზედამხედველები მოწინავე და ავტორიტეტულ საჯარო დაწესებულებებს მიეკუთვნებიან. ფინანსური სექტორის ზედამხედველობის ფარგლებში მათ შეუძლიათ სათანადო ყურადღება დაუთმონ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ რისკებს, რაც აისახება კერძო საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. უფრო მეტიც, ცენტრალურ

<sup>10</sup> [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Greening\\_the\\_Rules\\_of\\_the\\_Game.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Greening_the_Rules_of_the_Game.pdf)

<sup>11</sup> [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/On\\_the\\_Role\\_of\\_Central\\_Banks\\_in\\_Enhancing\\_Green\\_Finance.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/On_the_Role_of_Central_Banks_in_Enhancing_Green_Finance.pdf)

ბანკებს, ფინანსური ბაზრების ექსპერტიზისა და საერთაშორისო კავშირების გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ ხელი შეუწყონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი რეფორმების ფინანსურ სექტორში გატარებას.

მრავალ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები და ფინანსური ზედამხედველები, ისევე როგორც ფინანსური ინსტიტუტები, აღნიშნული რისკების უფრო სიღრმისეულ შესწავლას ახორციელებენ. თუმცა, არასაკმარისად განვითარებული ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების გამო არსებობს ბევრი გამოწვევა. მაგალითად, მონაცემების ხარისხი და ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ტაქსონომია და განმარტებები ჯერაც შემუშავების ეტაპზეა და გასაუმჯობესებელია თეორიული ცოდნის ფინანსური რისკის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციად გარდაქმნის პროცესი. შესაბამისად, მდგრად დაფინანსებაზე წარმატებით გადასვლა მოითხოვს, როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის მხრიდან, რიგი თანმიმდევრული და თავსებადი ქმედებების ერთდროულად განხორციელებას.

## მდგრადი დაფინანსება საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას და ამ მიზნით მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. აღნიშნული ჩარჩო გულისხმობს ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებას და მათთან დაკავშირებული რისკების მართვას, რაც მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური სტაბილურობისთვის, ასევე ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ეროვნული ბანკი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 2017 წლის სექტემბერში მდგრად საბანკო ქსელში (Sustainable Banking Network, SBN<sup>12</sup>) გაწევრიანება იყო. ამ დროიდან მოყოლებული, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორებიცაა SBN, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საქართველოში მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებისთვის. მდგრადი დაფინანსების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ეროვნულმა ბანკმა კერძო სექტორთან თანამშრომლობით ქართულ ენაზე თარგმნა კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (International Capital Market Association, ICMA) მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების პრინციპები, რომელიც ICMA-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა<sup>13</sup>.

2018 წლის 26 სექტემბერს, ეროვნულმა ბანკმა IFC/SBN-თან ერთად უმასპინძლა მდგრადი დაფინანსების სამუშაო შეხვედრას. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ IFC-ის ექსპერტები, SBN-ის წევრი ქვეყნების და რეგიონის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი

<sup>12</sup> “SBN წარმოადგენს 36 განვითარებადი ქვეყნის ცენტრალური ბანკების, საბანკო ზედამხედველებისა და ასოციაციების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის მიზანია ხელის შეუწყოს ფინანსური ბაზრის მდგრად განვითარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: [www.ifc.org/sbn](http://www.ifc.org/sbn)

<sup>13</sup> ICMA პრინციპების ოფიციალური დოკუმენტები და ქართული თარგმანი იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/green-bond-principles-gbp/>

განვითარების სამინისტროს, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები, ფინანსური ინსტიტუტების პრეზიდენტები/ადმინისტრაციული დირექტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს მდგრადი დაფინანსების არსებული გამოწვევები, სოციალური და მწვანე ობლიგაციების ბაზრისა და მწვანე კრედიტის განვითარების შესაძლებლობები, და გარემოსდაცვით საკითხების გამჭვლავლების მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფინანსური ზედამხედველობის როლზე, არსებულ რეგულატორულ გამოცდილებებსა და ინიციატივებზე. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში გამართული დისკუსიებისა და კონსულტაციების შედეგად ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის შექმნა.

მდგრადი განვითარების გზამკვლევი საქართველოსთვის შეიქმნა IFC/SBN-თან თანამშრომლობის შედეგად. ის ემყარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და შეესაბამება ევროკავშირის კომისიის სამოქმედო გეგმას (EU Commission Action Plan)<sup>14</sup>. გზამკვლევი შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში მდგრადი დაფინანსების განვითარების სამოქმედო გეგმას წარმოადგენს.

## მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი

### გზამკვლევის მიზანი

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების სიას. გზამკვლევი აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ცვლილებას, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში. გზამკვლევის მთავარი მიზანია შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც მოამზადებს ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის. თანმიმდევრული და თავსებადი ღონისძიებების გატარებით და ადაპტაციისთვის საჭირო დროის მიცემით, გზამკვლევი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებას.

მდგრადი დაფინანსება მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. შესაბამისად, ეს გზამკვლევი თავსებადია მთავრობის მდგრადი განვითარების გეგმასთან. გზამკვლევი განიხილავს როგორც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორცაა კლიმატის ცვლილება და ჰაერის დაბინძურება, ასევე სოციალურ და მმართველობით საკითხებს.

გზამკვლევის განახლდება პერიოდულად ბაზრის განვითარებასთან ერთად.

<sup>14</sup> [https://ec.europa.eu/info/publications/180308-action-plan-sustainable-growth\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/180308-action-plan-sustainable-growth_en)

## გზამკვლევი

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. მდგრად დაფინანსებაზე ცნობიერების ამაღლება, სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და ბაზრის კვალიფიკაციის ზრდა მდგრადი დაფინანსების მიმართულებით.
2. მწვანე და სოციალურად ინკლუზიური ეკონომიკის მისაღწევად მდგრადი მიმართულებით კაპიტალის ნაკადებისა და ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა.
3. ESG ფაქტორების გათვალისწინება ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორაციების რისკის მართვის ჩარჩოსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
4. ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორაციებისთვის ESG-ის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნების დაწესებით გამჭვირვალობისა და საბაზრო დისციპლინის ზრდა.

თითოეულ მიმართულებით დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები წარმოდგენილია დიაგრამა 3-ში.

დიაგრამა 3. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის

ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა	მდგრადი დაფინანსების ნაკადები	ESG რისკების მართვა	გამჭვირვალობა და საბაზრო დისციპლინა
<ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკების შემუშავება ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად;</li> <li>• ბაზრის მონაწილეებისთვის ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ჩატარების ინიცირება და ხელშეწყობა;</li> <li>• მდგრადი დაფინანსების საკითხებზე კვლევების ჩატარება;</li> <li>• მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფის შექმნა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შემოღება;</li> <li>• მდგრადი დაფინანსების სახელმძღვანელოს შემუშავება;</li> <li>• მდგრადი დაფინანსების ნაკადების ხელშესაწყობად შესაძლო რეგულაციებისა და წამახალისებელი პოლიტიკის შესწავლა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში ESG საკითხების გათვალისწინება;</li> <li>• კაპიტალის ბაზრის კორპორაციული მართვის კოდექსში ESG საკითხების გათვალისწინება;</li> <li>• ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოსა და ინსტრუმენტების შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ESG საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნის გათვალისწინება კომერციული ბანკებისა და კაპიტალის ბაზრის კორპორაციული მართვის კოდექსში;</li> <li>• ESG ანგარიშგებასა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;</li> <li>• პროგრესის შეფასების ინსტრუმენტების განვითარება ;</li> <li>• საინფორმაციო ჰაბის შექმნა.</li> </ul>

## ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა

საქართველოში მდგრად დაფინანსებაზე დაბალი ცნობიერების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი რისკების მხოლოდ მოკლევადიანი ანალიზი და მდგრადი დაფინანსების უპირატესობებზე ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა.



მდგრადი დაფინანსების დასანერგად საქართველოს ფინანსური ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტით. ეს მოიცავს ეკვატორის პრინციპები (Equator Principles), UN PRI, UNEP FI, UN PSI, Global Compact, ICMA Principles, Climate Bond Initiative. მდგრადი დაფინანსების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კერძო სექტორთან თანამშრომლობით ქართულ ენაზე თარგმნა კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების პრინციპები, რომელიც ICMA-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ქართული ვერსიის გამოქვეყნების მიზანია, ერთი მხრივ, გაზარდოს ცნობადობა ადგილობრივ ბაზარზე მდგრადი დაფინანსების შესახებ და მეორე მხრივ, დაანახოს საერთაშორისო ინვესტორებს ეროვნული ბანკის მხრიდან მდგრადი დაფინანსების მხარდაჭერა. ICMA-ს პრინციპები ყოველწლიურად ახლდება და ეროვნული ბანკი გეგმავს, რომ განახლებული თარგმანები მუდმივად ხელმისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისთვის.

სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარების ინიცირება, ორგანიზება და ხელშეწყობა კიდევ ერთი საშუალებაა მდგრადი დაფინანსების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. 2018 წლის 26 სექტემბერს ეროვნულმა ბანკმა SBN/IFC-თან თანამშრომლობით უმასპინძლა სამუშაო შეხვედრას მდგრადი დაფინანსების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნა მდგრადი დაფინანსების აქტუალური საკითხები და მიმდინარე გამოწვევები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გზამკვლევის შემუშავების შესახებ. ასევე, მომავალშიც იგეგმება სხვადასხვა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ეს არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ ეროვნულ ბანკს მისცემს შესაძლებლობას მდგრადი დაფინანსების განვითარების მიმართულებით მომავალი ნაბიჯების დაგეგმვისას კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინოს საქართველოს ბაზრის მახასიათებლები.

მდგრადი დაფინანსების მიმდინარე გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მუდმივად მისაღებად და მომავალი ღონისძიებების დასაგეგმად ეროვნული ბანკი რეგულარულად გაეცნობა საერთაშორისო მოვლენების განვითარებას და ჩაატარებს კვლევებს მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## მდგრადი დაფინანსების ნაკადები

მდგრადი დაფინანსება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრად განვითარებაში. იმისათვის რომ კაპიტალის ნაკადები მდგრადი განვითარების და კლიმატის ცვლილების მიზნებთან იყოს თანხვედრაში, მნიშვნელოვანია განიმარტოს ტერმინი „მდგრადი“. იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის ინვესტიციები/კრედიტი კვალიფიცირდება როგორც „მდგრადი“, ბაზრის მონაწილეებს დაეხმარება უკეთესად მოახდინონ თავიანთი საქმიანობის მდგრად განვითარებასთან თანხვედრაში მოყვანა. საერთაშორისო განმარტებებთან თავსებადი ტაქსონომია ხელს შეუწყობს საერთაშორისო ინვესტიციების ზრდას. ტაქსონომიის ადგილობრივ მოთხოვნებთან თავსებადობა კი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინსტიტუტებს თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი გეგმავს დაწეროს ევროკავშირის ტაქსონომიის შესაბამისი და საერთაშორისო პრაქტიკასთან

თავსებადი მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია. ეს შეიძლება მოიცავდეს მწვანე კრედიტის, მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციებისა და მდგრადი დაფინანსების სხვა პროდუქტების განმარტებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის შემუშავებასაც ეროვნული ბანკი გეგმავს, არის მდგრადი დაფინანსების სახელმძღვანელო. აღნიშნული დოკუმენტი გააერთიანებს მდგრადი დაფინანსების პროდუქტების ყველა არსებულ განმარტებას, მათ შორის მწვანე, სოციალურ და მდგრად ობლიგაციებსა და მწვანე კრედიტის; მწვანე ობლიგაციების გამოშვების გზამკვლევის; მიმოიხილავს ESG რისკის მართვის მოთხოვნებს; და შეაჯამებს კორპორაციული მართვის კოდექსში ESG საკითხების გათვალისწინებას, ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნების შესაბამის პრინციპებთან ერთად.

### ESG რისკის მართვა

ESG რისკის მართვა გულისხმობს სესხების გაცემისას ESG რისკების გათვალისწინებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან შემცირდეს ბანკების მიერ დაფინანსებული პროექტებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგი, რეპუტაციული რისკი ან გარემოსა და ადამიანებზე მიყენებული ზარალი. ბაზრების მზარდი რაოდენობა აღიარებს კლიმატის ცვლილების რისკს, როგორც ცალკე მდგომ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს მსესხებლებისა და გამსესხებლების მდგომარეობაზე. გასული ათწლეულის მანძილზე მიმდინარეობს საჯარო და კერძო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყენებული ESG რისკების მართვის სტანდარტების დაახლოება. ეს საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს IFC -ის სტანდარტებს (IFC's Performance Standards)<sup>15</sup>, ეკვატორის პრინციპებს (Equator Principles)<sup>16</sup> და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რისკის მართვის სახელმძღვანელოს<sup>17</sup>.

ESG რისკების ეფექტიანად მართვითა და ამ რისკებთან ერთად შესაძლებლობების გამოვლენით, ბანკებს შეუძლიათ შექმნან გრძელვადიანი ღირებულება თავიანთი ბიზნესისთვის. ოპტიმალური გრძელვადიანი ღირებულების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ რისკებისა და შესაძლებლობების ერთდროული მართვით.

ESG რისკის მართვა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეროვნულმა ბანკმა უკვე დაიწყო მუშაობა კაპიტალის ბაზრებისა და კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში ESG ფაქტორების გათვალისწინების მიმართულებით. კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით, ESG უნდა იყოს კომპანიის სტრატეგიის ნაწილი, ხოლო ESG რისკების ჩართვა უნდა მოხდეს რისკების მართვის სისტემაში. ამასთან, კორპორაციული მართვის კოდექსი ითვალისწინებს ESG საკითხების ანგარიშგებასა და გამჟღავნებას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს, რომ კომპანიებმა მოახდინონ მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების ადექვატურად შეფასება და გათვალისწინება. საწყის ეტაპზე, კაპიტალის ბაზრებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსში ESG-ის ნაწილი დაფუძნებული იქნება

<sup>15</sup> IFC Performance Standards and supporting guidance, including the World Bank Group environmental, health and safety (EHS) guidelines [www.ifc.org/sustainability](http://www.ifc.org/sustainability) and [www.ifc.org/performancestandards](http://www.ifc.org/performancestandards)

<sup>16</sup> <https://equator-principles.com/about/>

<sup>17</sup> <https://www.ebrd.com/who-we-are/our-values/environmental-emanual-risk.html>

„შეასრულე ან განმარტე“ პრინციპზე, რაც ბაზარს მდგრადი განვითარების საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების უფრო მკაცრი მოთხოვნებისთვის მოამზადებს. კომერციული ბანკებისთვის ESG საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა უკვე სავალდებულოა. ამჟამად, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის ESG ფაქტორების მხოლოდ საბაზისო საკითხებს ითვალისწინებს. ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას კორპორაციული მართვის კოდექსში მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინების გასაუმჯობესებლად.

შემდეგ ნაბიჯს ESG რისკის მართვისა და ინსტრუმენტების ტექნიკური სახელმძღვანელოს შემუშავება წარმოადგენს. ESG რისკების მართვის სახელმძღვანელო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან იქნება თავსებადი, რომელიც, როგორც წესი, მოითხოვს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართ მოვალეობრივი მზრუნველობის (due diligence) შეფასებას, ESG რისკებს შემცველი კრედიტის შესწავლას, და დაკრედიტების შემდგომ ESG რისკებზე ზედამხედველობის გაგრძელებას. კრედიტზე გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების განსაზღვრა, შეფასება და მართვა ჯერ კიდევ ახალია ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, იმისათვის, რათა ფინანსურმა ინსტიტუტებმა გაითვალისწინონ ESG რისკები, ეროვნული ბანკის ჩართულობა და ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანია.

### გამჭვირვალობა და საბაზრო დისციპლინა

გამჭვირვალობა მდგრადი დაფინანსების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისა და კაპიტალის ბაზრებისთვის აწესებს მოთხოვნებს ESG ანგარიშგებასა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რაც ბაზრებს გარემოს დაცვაზე უფრო ორიენტირებულს გახდის. ეროვნული ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან, OECD თანამშრომლობით ფინანსური ინსტიტუტებისათვის ინფორმაციის გამჟღავნებისა და ანგარიშგების პრინციპებზე მუშაობს. აღნიშნული პრინციპები მდგრადი განვითარების საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტს ეფუძნება, როგორებიცაა მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო (Sustainability Accounting Standards Board, SASB), კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფი (Task Force on Climate-related Financial Disclosures, TCFD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლიანი ინვესტიციის პრინციპების (UN Principles for Responsible Investment, PRI) ანგარიშგების ჩარჩო 2018, საერთაშორისო ანგარიშგების ინიციატივა (Global Reporting Initiative, GRI), ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ფინანსურმა ინსტიტუტებმა შეიძლება გამოიყენონ როგორც სახელმძღვანელო პრინციპები თუ როგორ გაამჟღავნონ ESG-სთან დაკავშირებულ საკითხებზე ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს მოდელსა და სტრატეგიაზე, პოლიტიკასა და მოვალეობრივ მზრუნველობაზე (due diligence), რისკის მართვასა და შედეგებზე. ეროვნული ბანკი OECD-თან ერთად, ინფორმაციის შედარებითობისა და თავსებადობის უზრუნველსაყოფად, ასევე გეგმავს მიაწოდოს ფინანსურ ინსტიტუტებს ESG-ს ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნების შაბლონი.



ESG-ს ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპები და შესაბამისი შაბლონი ასევე გამოყენებული იქნება ფინანსური ინსტიტუტების მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. ამავდროულად, ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას პროგრესის საზომი სხვა ინსტრუმენტების განვითარებისთვის.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის ერთ-ერთი მიზანი ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე საინფორმაციო ჰაბის შექმნაა. საინფორმაციო ჰაბი შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან:

- ინფორმაცია საქართველოში მდგრადი დაფინანსების მიმართულებით არსებულ რეგულაციებზე და ეროვნული ბანკის მიერ მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვა გამოქვეყნებული დოკუმენტები.
- კომერციული ბანკების, სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორაციების მიერ გამოქვეყნებული ESG ანგარიშები. ეს ანგარიშები გასაჯაროებული იქნება თითოეული ამ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, თუმცა ასევე ხელსაყრელი იქნება მათი თავმოყრა და საინფორმაციო ჰაბზე ერთად გამოქვეყნება.
- მდგრადი დაფინანსების საერთაშორისო გამოცდილებისა და ტენდენციების შესახებ საინტერესო ლიტერატურა, რომელიც პერიოდულად განახლდება.

## განხორციელება და პროგრესის შეფასება

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის წარმატებული განხორციელება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციას მოითხოვს. სამოქმედო გეგმის წარმატებულად განხორციელებისთვის და დაინტერესებული მხარეების ამ პროცესში ადრეულ ეტაპზე ჩართვის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფის შექმნას გეგმავს. ჯგუფის წევრები შესაბამისი სამინისტროებისა და ამ მიმართულებით მომუშავე სხვა საჯარო დაწესებულებების, ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები იქნებიან. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება რეგულარულად რათა წევრებმა გაცვალონ იდეები, გააცნონ ერთმანეთს სიახლეები მდგრადი დაფინანსების მიმართულებით არსებულ მიმდინარე მოვლენებზე და განიხილონ თითოეული მათგანის როლი და პასუხისმგებლობა გზამკვლევით განსაზღვრული გეგმების განხორციელებაში.

სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება მიღწეული შედეგების კომუნიკაციასაც შეუწყობს ხელს. თუმცა, შედეგების ანალიზის თვალსაზრისით აუცილებელია ანგარიშგებისა და შეფასების მეტი ინსტრუმენტების ქონა. აღნიშნული ინსტრუმენტების მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შესაბამისად განისაზღვრება. დამატებითი ინდიკატორები ფინანსური ინსტიტუტებისა და კაპიტალის ბაზრის მიერ ESG ანგარიშგების შედეგად მიღებულ ინფორმაციას დაეფუძნება. ვინაიდან მდგრადი დაფინანსების ჩარჩო განვითარების ადრეულ ეტაპზეა, დამატებითი კვლევები ჩატარდება პროგრესის გაზომვის კონკრეტული ინდიკატორების შერჩევამდე. პროგრესის გაზომვისა და შედეგების შეფასების მეთოდები ბაზრის განვითარების შესაბამისად გადაიხედება და განახლდება.

## დანართი - მდგრადი დაფინანსების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა		2019	2020	2021	2022
<b>ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა</b>	სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკების შემუშავება ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად				
	ბაზრის მონაწილეებისთვის ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ჩატარების ინიცირება და ხელშეწყობა				
	მდგრადი დაფინანსების საკითხებზე კვლევების ჩატარება				
	მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფის შექმნა				
<b>მდგრადი დაფინანსების ნაკადები</b>	მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შემოღება				
	მდგრადი დაფინანსების სახელმძღვანელოს შემუშავება				
	მდგრადი დაფინანსების ნაკადების ხელშესაწყობად შესაძლო რეგულაციებისა და წამახალისებელი პოლიტიკის შესწავლა				
<b>ESG რისკების მართვა</b>	კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში ESG საკითხების გათვალისწინება				
	კაპიტალის ბაზრის კორპორაციული მართვის კოდექსში ESG საკითხების გათვალისწინება				
	ESG რისკების მართვის სახელმძღვანელოსა და ინსტრუმენტების შემუშავება				
<b>გამჭვირვალობა და საბაზრო დისციპლინა</b>	ESG საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნის გათვალისწინება კომერციული ბანკებისა და კაპიტალის ბაზრის კორპორაციული მართვის კოდექსში				
	ESG ანგარიშგებასა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება				
	პროგრესის შეფასების ინსტრუმენტების განვითარება				
	საინფორმაციო ჰაბის შექმნა				

## გამოყენებული ლიტერატურა

- Bank Al Maghrib (2016), *Roadmap for aligning the Moroccan financial sector with sustainable development*, <http://www.bkam.ma/en/content/view/full/401601>
- Bank of England (2015), *Breaking the Tragedy of the Horizon – climate change and financial stability- Speech given by Mark Carney*, <http://www.fsb.org/wp-content/uploads/Breaking-the-Tragedy-of-the-Horizon-%E2%80%93-climate-change-and-financial-stability.pdf>
- De Nederlandsche Bank (2017), *Waterproof? An exploration of climate-related risks for the Dutch financial sector*. [https://www.dnb.nl/en/binaries/Waterproof\\_tcm47-363851.pdf?2017110615](https://www.dnb.nl/en/binaries/Waterproof_tcm47-363851.pdf?2017110615)
- EU High-Level Expert Group on Sustainable Finance (2017). *Financing a Sustainable European Economy. Interim report July 2017*, [https://ec.europa.eu/info/sites/info/files/170713-sustainable-finance-report\\_en.pdf](https://ec.europa.eu/info/sites/info/files/170713-sustainable-finance-report_en.pdf)
- Equator principles (2013), *Equator principles III*, [https://equator-principles.com/wp-content/uploads/2017/03/equator\\_principles\\_III.pdf](https://equator-principles.com/wp-content/uploads/2017/03/equator_principles_III.pdf)
- European Bank for Reconstruction and Development (2014). *Environmental and Social Risk Management Manual*, <https://www.ebrd.com/who-we-are/our-values/environmental-emanual-risk.html>
- European Commission (2018), *Commission action plan on financing sustainable growth*, [https://ec.europa.eu/info/publications/180308-action-plan-sustainable-growth\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/180308-action-plan-sustainable-growth_en)
- European Commission (2018), *Final report of the High-Level Expert Group on Sustainable Finance*, [https://ec.europa.eu/info/publications/180131-sustainable-finance-report\\_en](https://ec.europa.eu/info/publications/180131-sustainable-finance-report_en)
- European Systemic Risk Board (2016). *Too late, too sudden: Transition to a low-carbon economy and systemic risk. Reports of the Advisory Scientific Committee No 6*, [https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/asc/Reports\\_ASC\\_6\\_1602.pdf](https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/asc/Reports_ASC_6_1602.pdf)
- Eurosif (2018). *European SRI Transparency Code*, <http://www.eurosif.org/wp-content/uploads/2014/05/5.-transparency-code-english.pdf>
- Eurosif (2018). *European SRI Transparency Code Applications-Guidance Manual*, <http://www.eurosif.org/wp-content/uploads/2018/02/Transparency-Code-4.0-Guidance-Manual.pdf>
- Global Green Growth Institute (2017), *Fiji NDC implementation Roadmap 2017-2030*, [https://cop23.com.fj/wp-content/uploads/2018/03/FIJI-NDC-IMPLEMENTATION-ROADMAP\\_LOWRES.pdf](https://cop23.com.fj/wp-content/uploads/2018/03/FIJI-NDC-IMPLEMENTATION-ROADMAP_LOWRES.pdf)
- Green Finance Initiative (2018), *Accelerating Green Finance*, <http://greenfinanceinitiative.org/wp-content/uploads/2018/03/Accelerating-Green-Finance-GFT-FINAL-report.pdf>
- Green Finance Initiative (2017), *Fifteen Steps to Green Finance*, [https://www.e3g.org/docs/Green\\_Finance\\_Initiative\\_15\\_Steps.pdf](https://www.e3g.org/docs/Green_Finance_Initiative_15_Steps.pdf)
- International Capital Market Association (2018), *Green Bond Principles*, <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/green-bond-principles-gbp/>
- International Capital Market Association (2018), *Social Bond Principles*, <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/social-bond-principles-sbp/>
- International Capital Market Association (2018), *Sustainability Bond Guidelines*, <https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/sustainability-bond-guidelines-sbg/>

- International Finance Corporation (2010), *Climate Risk and Financial Institutions, Challenges and Opportunities*, <https://firstforsustainability.org/media/IFC%20Climate%20Risk%20and%20FIs.pdf>
- International Finance Corporation (2018), *Global Progress Report*, <https://www.ifc.org/wps/wcm/connect/71e6f2f5-8fb5-40a1-bc17-e04a85037980/SBN-GlobalProgressReport.pdf?MOD=AJPERES>
- International Finance Corporation (2012). *Environmental and Social Performance Standards*, [https://www.ifc.org/wps/wcm/connect/Topics\\_Ext\\_Content/IFC\\_External\\_Corporate\\_Site/Sustainability-At-IFC/Policies-Standards/Performance-Standards](https://www.ifc.org/wps/wcm/connect/Topics_Ext_Content/IFC_External_Corporate_Site/Sustainability-At-IFC/Policies-Standards/Performance-Standards)
- Mongolian Sustainable Finance Initiative (2014), *Creating Sustainable Development Together*, [https://www.ifc.org/wps/wcm/connect/bffbde00476d9f7885ecf5299ede9589/MBA\\_ToC\\_brochure.pdf?MOD=AJPERES](https://www.ifc.org/wps/wcm/connect/bffbde00476d9f7885ecf5299ede9589/MBA_ToC_brochure.pdf?MOD=AJPERES)
- Organization for Economic Co-operation and Development (2018), *Mobilizing Finance for Climate Action in Georgia*, <http://www.oecd.org/env/mobilising-finance-for-climate-action-in-georgia-9789264289727-en.htm>
- Otoritas Jasa Keuangan (2014), *Roadmap for Sustainable Finance in Indonesia*, <https://www.ifc.org/wps/wcm/connect/587a700047f4b31baa63ff299ede9589/Roadmap+Keuangan+Berkelanjutan.pdf?MOD=AJPERES>
- Reserve Bank of Fiji (2018), *Reserve Bank of Fiji's Experience with Financial Inclusion and Climate Change*, [https://www.afi-global.org/sites/default/files/publications/2018-11/AFI%20FICC\\_Fiji\\_case%20study\\_AW\\_digital.pdf](https://www.afi-global.org/sites/default/files/publications/2018-11/AFI%20FICC_Fiji_case%20study_AW_digital.pdf)
- Scott, Matthew and Van Huizen, Julia and Jung, Carsten, Bank of England, (2017 Q2). *The Bank's Response to Climate Change*. <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/quarterly-bulletin/2017/the-banks-response-to-climate-change.pdf?la=en&hash=7DF676C781E5FAEE994C2A210A6B9EEE44879387>
- Task Force on Climate-Related Financial Disclosures (2018), *Status Report*, <http://www.fsb.org/wp-content/uploads/P260918.pdf>
- UN Environment (2016), *Financing the Future, Report of the Italian National Dialogue on Sustainable Finance*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/Financing\\_the\\_Future\\_EN.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/Financing_the_Future_EN.pdf)
- UNEP Finance Initiative (2018), *Luxembourg Sustainable Finance Roadmap*, <https://gouvernement.lu/dam-assets/documents/actualites/2018/10-octobre/04-sustainable-finance/Luxembourg-Sustainable-Finance-Roadmap-WEB.pdf>
- UN Environment (2018), *Greening the Rules of the Game, How Sustainability Factors Are Being Incorporated Into Financial Policy and Regulation*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Greening\\_the\\_Rules\\_of\\_the\\_Game.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Greening_the_Rules_of_the_Game.pdf)
- UN Environment (2018), *Making Waves, aligning the Financial System with Sustainable Development*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Making\\_Waves.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/04/Making_Waves.pdf)
- UN Environment (2017), *On the Role of Central Banks in Enhancing Green Finance*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/On\\_the\\_Role\\_of\\_Central\\_Banks\\_in\\_Enhancing\\_Green\\_Finance.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2017/02/On_the_Role_of_Central_Banks_in_Enhancing_Green_Finance.pdf)
- UN Environment, World Bank Group (2017), *Roadmap for a Sustainable Financial System*, <http://documents.worldbank.org/curated/en/903601510548466486/pdf/121283-12-11-2017-15-33-33-RoadmapforaSustainableFinancialSystem.pdf>

UNEP (2015), *The Financial System We Need, Aligning the Financial System with Sustainable Development*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2015/11/The Financial System We Need EN.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2015/11/The_Financial_System_We_Need_EN.pdf)

UNEP (2015), *The Financial System We Need, From Momentum to Transformation*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2016/09/The Financial System We Need From Momentum to Transformation Summary EN.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2016/09/The_Financial_System_We_Need_From_Momentum_to_Transformation_Summary_EN.pdf)

UNEP Finance Initiative (2016), *Guide to Banking and Sustainability, edition 2*, [http://www.unepfi.org/fileadmin/documents/guide\\_banking\\_statements.pdf](http://www.unepfi.org/fileadmin/documents/guide_banking_statements.pdf)

UNEP Finance Initiative (2018), *The European Commission Action Plan*, <https://www.unpri.org/download?ac=5173>

UNEP Inquiry, International Finance Corporation, Mongolian Sustainable Finance Association (2018) *National Sustainable Finance Roadmap of Mongolia*, [http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/11/National Sustainable Finance Roadmap of Mongolia.pdf](http://unepinquiry.org/wp-content/uploads/2018/11/National_Sustainable_Finance_Roadmap_of_Mongolia.pdf)

United Nations Climate Change (2016), *The Paris Agreement*, <https://unfccc.int/process/the-paris-agreement/what-is-the-paris-agreement>

